საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი გასაკვირველი

საბერძნეთში დროებით მცხოვრებ ქართველთა საზოგადოებრივი გაზეთი

ელადა

Ελλάδα

№ 8 (22)

ივნისი

2004 წელი

უწმიდესისა და უნეტარესის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის სიტყვა, წარმოთქმული ათენში, სასტუმრო „დიდ ბრიტანეთში" ქართველებთან შეხვედრის დროს

სამშობლო თქვენს გულშია

უპირველეს ყოვლისა, მოგესალმებით, ქრისტე აღსდგა!

(დარბაზი ფეხზე დგება - ჭეშმარიტად აღსდგა!)

მე მინდა მადლობა ვუთხრა უფალს ამ დიდი სიხარულისათვის, ამ შეხვედრისათვის. მე მინდა ვთქვა, რომ უკეთესი იქნებოდა, რომ საქართველოში ყოფილიყო ეს შეხვედრა. მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ შევხვდებით საქართველოში ძალიან მალე, ოღონდ გამთლიანებულში, რადგან მჯერა, საქართველოს მთავრობა მალე დაიბრუნებს აფხაზეთსა და ცხინვალს.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ხალხით, ჩვენი წინაპრებით, ჩვენი თავდადებული ვაჟკაცებით.

მე მინდა გაგახსენოთ, როცა იყო სამოქალაქო ომი საქართველოში, როგორი მძიმე პერიოდი გავიარეთ. არ გვეძინა არც დღე და არც ღამე. იცით... ღვთის მადლით, უფალმა წყალობა დაგვე-

ქართველები საოცარი ხალხი ხართო და მიამბო ორი შემთხვევა.

წამოდგა და ღილები შეიკრაო სასწრაფოდ. ესე იგი, სიკვდილმისჯილ ადამიანს, რომელიც ყოველ წუთს ელის დახვრეტას, კიდევ იმდენი ადამიანობა ჰქონდაო, ქალი შევიდა მასთან და ასე მოიქცაო. თქვენ ამერიკაში ვერ ნახავთო ასეთ მაგალითს. მერე მიამბო: ავტობუსის სადგურში მივედიო. ბევრი ხალხი იყოვო და ახალგაზრდები ავტობუსის კიბეებზეც იდგნენო. ამ დროს მოვიდა ერთი მოხუცებული ქალბატონი ჯოხით ხელში. მე ვიფიქრეო, ამ მოხუცს ვინ შემოუშვებს ახლა ავტობუსშიო, მაგრამ ვნახე საოცრებაო. ახალგაზრდები ჩამოხტნენ და ხელში აიტაცეს ეს მოხუცი ქალბატონი და როგორც ძვირფასი ნივთი, ისე შემოაბრძანეს ავტობუსშიო. ამასაც ვერ ნახავთო ევროპასა და ამერიკაში.

მე მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენს სამშობლოზე, საქართველოზე უკეთესი ქვეყანა არ არსებობს.

ადამიანმა იცის შეჩვევა, ეჩვევა ადამიანი თავის ყოფას. აი, დედაჩემი გვეუბნებოდა ხშირად ბავშვებს, სიღარიბეს ნუ შეეჩვევითო, სიღარიბემაც იცის შეჩვევა. უცხოეთში ცხოვრებამაც იცის შეჩვევა. აი, აქ ბრძანდება ჩვენი სულიერი შვილი ტარიელ ბიბილაშვილი, რომელიც ამბობს, 12 წელია არ ვყოფილვარო საქართველოში, ესე იგი, 12 წელი აქ რომ ვყოფილიყავი, გამისკდებოდა გული და ვერ ავიტანდი სამშობლოს გარეშე ცხოვრებას.

მე ერთი რამ ვიცი, სამშობლო თქვენს გულშია და სამშობლო თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშია.

მე მინდა გითხრათ, რომ იმედი გვაქვს ყველაფერი გამოსწორდება საქართველოში. ჩვენ გვყავს ახალი ხელისუფლება, ძალიან ენერგიული, კარგი პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და პარლამენტის თავისუფლდება საქართველო. საოცარი ის არის, რომ სწორედ გიორგობა დღეს მოხდა ეს. გიორგობის დღეს ჟურნალისტები მეწვივნენ და მკითხეს, ახლა რაო... მესამე გიორგობას რაღაო?

მესამე გიორგობას - აფხაზეთი და ცხინვალი.

მე მინდა მადლობა შევწირო უფალს თქვენი მშვიდობიანი ყოფისათვის აქ, საქართველოში მშვიდობისათვის.

მე მინდა აგრეთვე დიდი მადლობა მოვახსენო საბერძნეთის ხელისუფლებას. მე მქონდა შეხვედრა პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან, საგარეო მინისტრთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან. პრემიერ მინისტრი ბატონი კარამალისი, სანამ პრემიერ-მინისტრი გახდებოდა, იყო საქართველოში, მეწვია საპატრიარქოში და მახსენდება კარამალისის ასეთი თხოვნა, რომ დამლოცეო, რომ ხმა

კიდევ ერთმა ქართველმა გვასახელა

თამთა გოდუაძე - ვარსკვლავი სამშობლოდან შორს

კიდევ ერთმა მშვენიერმა ქართველმა გოგონამ ბრწყინვალედ წარმოადგინა ქართველი ქალის სახე საბერძნეთში.

ყველასთვის ცნობილია, რომ ამჟამად მთელ მსოფლიოშია ატეხილი ათასგვარი პოპულარული თამაშები ვარსკვლავების გამოსავლენად და აღმოსაჩენად, ერთ-ერთ ასეთ პროგრამაში მონაწილეობას ღებულობს ჩვენი თანამემამულე, ლამაზი, მომხიბვლელი ქართველი ახალგაზრდა გოგონა, სიმღერისთივის დაბადებული თამთა გოდუაძე, რომელიც 1500 - კაციან შესარჩევ კონკურსზე ფინალისტი გახდა. ახლა თამთა უკვე საუკეთესო ექვსეულშია, კონკურსი გრძელდება. არ არის გამორიცხული, იგი საბერძნეთის „სუპერ აიდელიც" გახდეს, რასაც ჩვენ, აქ მყოფი ქართველები, ვგულშემატკივრობთ და იმედებს ვიტოვებთ.

ძალზე სასიხარულო იყო ის ფაქტი, რომ საბერძნეთის ყველაზე პოპულარულ არხზე ჩვენმა თანამემამულემ თავისი მომხიბვლელობით, კარგი ხმით, სილამაზით, სერიოზულობით, გამართული ინგლისურით დიდი სიმპათიები დაიმსახურა.

თამთას დებიუტი მისი ქართველი თანამემემულეების წინაშე შედგა, ათენის ქართული ინსტიტუტის მიერ მოწყობილ ერთ-ერთ მშვენიერ სალამოზე, სადაც დიდი მოწონება დაიმსახურა; ინსტიტუტის დირექტორმა ა. მიქაბერიძემ მას საბერძნეთში ახალი ვარსკვლავი უწოდა და გზა დაულოცა მომავლისაკენ.

თამთას წარმატება საბერძნეთის ცენტრალური ტელევიზიის ამ არხზე კიდევ ერთი ღირშესანიშნავი მომენტია ჩვენთვის, აქ მყოფი ქარველებისათვის. გვახარებს თამთას წარმატება და გზას ვულოცავთ ახალი შემოქმედებითი მწვერვალებისკენ.

შორენა შენგელია